პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 230 (6039)
1977 წ.
24 ნოემბერი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირაშვილი და პაპიძე—ნაკრებში

ძალოსნობა

ტულაში გაიმართა 1960-61 წლებში დაბადებულ მოზარდთა პირადგუნდური საკავშირო შეჯიბრება ძალოსნობაში. ასპარეზობაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 19 გუნდი (რსფსრ-დან და უკრაინიდან ორორი კოლექტივი) მონაწილეობდა.

საქართველოს ნაკრებმა ამ შეჯიბრებაში გუნდური VI ადგილი დაიკავა. კოლექტივი უკეთეს მაჩვენებელს მოიპოვებდა რუსთაველ თ. მაკოევს რომ (48 კგ) მთელი შესაძლებლობანი გამოევლინა და გუნდისთვის ჩათვლა მიეცა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში საქართველოს წარგზავნილები შემართებით იბრძოდნენ და ნაკრების წარმატებაში ყველამ სათანადო წვლილიც შეიტანა. ჩვენმა ძალოსნებმა უკან ჩამოიტოვეს მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა 11 რესპუბლიკის კოლექტივები.

კარგი შედეგები აჩვენეს თბილისელებმა ს. მელაძემ, გ. თინაშვილმა, ზ. მამულაშვილმა, სოხუმელმა ს. კონდახჩიანმა, ცხინვალელმა ე. ჩოჩიევმა. ამ უკანასკნელმა ქვემძიმე წონაში III საპრიზო ადგილი მხოლოდ ზედმეტი საკუთარი წონის გამო დაჰკარგა.

ყველაზე უკეთ იასპარეზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ზ. ნადირაშვილმა (მწვრთნელი გ. ფარულავა). ამ 17 წლის 120-კილოგრამიანმა სპორტსმენმა 127,5 კგ აიტაცა, 180 კგ აჰკრა და ორჭიდში 307,5 კილოგრამის მოგროვებით ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ზ. ნადირაშვილი და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი, მსუბუქი წონის ნ. პაპიძე, რომელმაც პოდოლსკში გამოიჩინა თავი, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩაირიცხნენ.

რ. ბურბენიძე.

ჭადრაკი

ფინალისტები ცნობილია

100-ზე მეტმა მოჭადრაკემ იასპარეზა თბილისის ვაჟთა პირველობის ნახევარფინალში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (11 ტური) ჩატარდა. ფინალის საგზური მხოლოდ პირველი რვა გამარჯვებულისთვის იყო გათვალისწინებული.

I ადგილი 9,5 ქულით დაიკავა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის განყოფილების სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა ზ. აზმაიფარაშვილმა, რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო.

II ადგილზე 8,5 ქულით გავიდა მოჭადრაკე ქალი, ოსტატი თ. ხუგაშვილი. თამარი ენერგიულად თამაშობდა. მან შვიდ მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა, სამს დაუზავდა და მხოლოდ ერთი პარტია წააგო. უდაოდ საინტერესო იქნება ოსტატი ქალის მონაწილეობა ფინალურ ასპარეზობაში.

8 ქულა ცხრა მოჭადრაკემ მოაგროვა, ამიტომ ფინალისტების გამოსავლენად საჭირო გახდა ბუჰოლცის კოეფიციენტთა სისტემის გამოყენება. მან ფინალისტებად დაასახელა: ა. წერეთელი, ე. მიქაელიანი, გ. ხაილენკო, ნ. ჩახოიანი, ზ. ლიფონავა და დ. ჯაფარიძე.

თ. ნინოშვილი.

სურათზე: ზ. აზმაიფარაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

●

ყაიმით დაიწყო

გუშინწინ ბელგრადში (იუგოსლავია) შედგა ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის წინადღით გადადებული I პარტიის დამთავრება. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მოზარდთა შეჯიბრება

გრძელდება საქართველოს პირველობა ფეხბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის.

საინტერესოდ მიმდინარეობდა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა. გაიმარჯვა საფეხბურთო სკოლის გუნდმა — 1:0. ბათუმში ადგილობრივმა დინამოელებმა კარგად ითამაშეს თბილისის განათლების განყოფილების გუნდის წინააღმდეგ და პირველი დამარცხება მიაყენეს მეტოქეს — 2:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ინტერნატი“ (თბილისი) 0:2, „დინამო“ (სოხუმი) — „ინტერნატი“ (თბილისი) 2:1, „დინამო“ (თბილისი) — განათლების განყოფილება (ბათუმი) 6:0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:1, „განთიადი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1.

თბილისის „ავაზასთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ლანჩხუთის „გურია“, რისთვისაც მას ჩაეთვალა წაგება.

II ჯგუფში ზუგდიდის დინამოელებმა მარცხი განიცადეს ფოთის განათლების განყოფილების გუნდთან შეხვედრაში — 1:2.

უ. ფურცელაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ფეხბურთი

ჰამბურგი. აქ შედგა ევროპის „სუპერთასის“ გათამაშების პირველი მატჩი ადგილობრივ „ჰამბურგსა“ (თასების მფლობელთა თასზე გამარჯვებული) და ინგლისის „ლივერპულს“ (ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი) შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 1:1. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 6 დეკემბერს ლივერპულში.

ლიდსი. ინგლისის „ლიდსმა“ თავის მინდორზე დაამარცხა ცნობილი ჰოლანდიური კლუბი „აიაქსი“ — 2:1. საინტერესოა, რომ ინგლისელებმა საკუთარ კარში თვითონ გაიტანეს ბურთი.

ჩოგბურთი

ლონდონი. უემბლის სტადიონის კორტებზე ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში შვედმა ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა ფინალში მოუგო ინგლისელ ჯონ ლოიდს (6:4, 6:4, 6:3) და პირველობა დაისაკუთრა. უიმბლდონის ტურნირის ორგზის ჩემპიონმა ზედიზედ 5 ტურნირში გაიმარჯვა.

ლას-ვეგასი. უიმბლდონის ტურნირის 1975 წლის ჩემპიონმა, ამერიკელმა ჯ. კონორსმა „ვარსკვლავების“ ტურნირის ფინალში მოუგო თანამემამულე რ. ტენერს — 6:2, 5:6, 6:3, 6:5. ტენერს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის ყველაზე ძლიერი მიწოდება აქვს (მისი დარტყმის შემდეგ ბურთი საათში საშუალოდ 190 კმ-ს ავითარებს), მაგრამ ამანაც ვერ უშველა. ტურნირში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ი. ნასტასე (რუმინეთი), ვ. გერულაიტისი (აშშ), ჯ. ალექსანდერი, რ. ლეივერი (ორივე — ავსტრალია) და სხვ.

სიდნეი. უიმბლდონის ტურნირის 1971 წლის ჩემპიონი ავსტრალიელი ივონა კოული (გულაგონგი) კვლავ გამოჩნდა კორტებზე. სიდნეიში გამართულ საერთაშორისო ტურნირის ფინალში მან მოუგო ავსტრალიის ამჟამინდელ ჩემპიონს კერი რეიდს — 6:1, 6:3. (საკდესი).

ალპინიზმი

ლონდონი. ევერესტის (8848 მ) ერთ-ერთი დამპყრობი, ცნობილი ინგლისელი ალპინისტი კრის ბონინგტონი უხელმძღვანელებს დიდი ბრიტანეთის ექსპედიციას, რომელსაც განზრახული აქვს გაისად ივნისში მსოფლიოში მეორე უმაღლეს მწვერვალზე — ჩიგორის პიკზე (8611) ასვლა.

როგორც ლონდონის „გარდიანი“ იუწყება, ეს არის პირველი ექსპედიცია, რომელიც მწვერვალის დაპყრობას ეცდება დასავლეთის ფერდობიდან — პიკის ყველაზე ციცაბო ნაწილიდან. ჩიგორი მსოფლიოში ერთ-ერთ ძნელდასაპყრობ მწვერვალად ითვლება. ჯერჯერობით ალპინისტები აქ მხოლოდ ორჯერ იყვნენ: 1954 წელს — იტალიელები და 1977 წელს — იაპონელი მთამსვლელები.

მსგავსი ექსპედიციებისგან განსხვავებით, ბონინგტონის ჯგუფი მცირერიცხოვანი იქნება (8 კაცი) და გზას ალპინისტთა მუდმივი თანამგზავრების — მებარგულების გა-

კარგ სკოლას — მეტი ყურადღება



ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ფრენბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლა 1975 წელს დაარსდა. პირველი დღიდანვე სასწავლებელს გამოცდილი პედაგოგი და ორგანიზატორი გიზო იმნაძე ხელმძღვანელობს. მცირე დროის მანძილზე სკოლის აღზრდილებმა რამდენიმე საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაში ისახელეს თავი. წლეულს კაუნასში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში სპორტსკოლის აღსაზრდელებმა (გოგონებმა და ჭაბუკებმა) ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. ოქტომბერში გოგონათა გუნდმა ბელორუსიაში ოქტომბრის იუბილესადმი მიძღვნილ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირველობაში იმარჯვა. სულ ახლახან გოგონებმა კვლავ წარმატებით იასპარეზეს ტაშკენტში გამართულ საკავშირო ტურნირში. ამჯერად ისინი II ადგილს დასჯერდნენ. კიდევ ბევრ შეჯიბრებაში გამოიჩინეს თავი სპორტსკოლის აღსაზრდელებმა, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. რასაკვირველია, ახალგაზრდა სპორტსმენებს მარცხიც განუცდიათ, მაგალითად, წლეულს კაუნასში სპორტსკოლების საკავშირო პირველობაში ვაჟთა გუნდი მე-13 ადგილზე გავიდა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ შეჯიბრებაში გუნდს 7 სპორტსმენი დააკლდა, აქედან 5 (!) ძირითადი შემადგენლობიდან. — ეს რომ არა, — გვითხრა მწვრთნელმა ა. მუხინმა, — ბიჭები ნამდვილად შეძლებდნენ საპატიო ჯილდოს მოპოვებას. მაგრამ, იმედს მაინც არ ვკარგავთ, გულდასმით ვემზადებით მომავალი შეჯიბრებებისთვის.

სპორტსკოლას მაშინ ვეწვიეთ, როცა მწვრთნელ ა. იგნატიევის ხელმძღვანელობით უფროსი ასაკის გოგონები ვარჯიშობდნენ. წარსულში კარგი ფრენბურთელი გამოცდილებას ახლა ნორჩებს გადასცემს.

ვარჯიშს დავუკვირდით. ეს იყო გააზრებული, დაგეგმილი გაკვეთილი, ინტენსიური, ტემპიანი. თანდათან გოგონებს დაღლა დაეტყოთ, მაგრამ ვარჯიშის ტემპს როდი მოუკლეს, უფრო სწრაფად ამოძრავდნენ, უნდოდათ კიდევ ერთი დარტყმა მოესწროთ, კიდევ ერთხელ აელოთ ამხანაგის მიერ დარტყმული ძლიერი ბურთი...

ვარჯიშის შემდეგ სპორტსკოლის დირექტორის კაბინეტს მივაშურეთ. ვათვალიერებთ კაბინეტის კედლებს, სადაც მრავალი დიპლომი და სიგელი სკოლის აღსაზრდელთა წარმატებებზე მეტყველებს. თვალი მოვკარით სურათს, რომელზეც ახალგაზრდა სპორტსმენი გოგონაა აღბეჭდილი, — ეს ოლგა კორობოვაა, — სევდანარევი ხმით გვითხრა დირექტორმა. მოვიგონეთ ნიჭიერი კალათბურთელი გოგონას სპორტული გზა, დიდი ამაგი დასდო გიზო იმნაძემ (იმ დროს იგი სპორტთამაშების სკოლის დირექტორი იყო) ოლგას, ვიდრე იგი ჩამოყალიბებული, ძლიერი კალათბურთელი, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატი გახდებოდა. რამდენიმე წლის წინათ კორობოვა ტრაგიკულად დაიღუპა...

სკოლაში ჩამოყალიბებულ სამ ასაკობრივ ჯგუფში 414 ბავშვი მეცადინეობს. სკოლის კონტინგენტი იზრდება რაიონის სკოლების მოსწავლეებით, რომლებსაც ნიჭიერი მწვრთნელები ო. ურუშაძე, ვლ. შუგაჩენკო, ვ. რიაბევი და სხვანი არჩევენ. სკოლაში პირველადი „სელექციის“ შედეგად შერჩეული საუკეთესო სპორტსმენები გამოცდილი, უნარიანი მწვრთნელების, კარგი პედაგოგების ს. ტარახჩიანის, ვ. მეგრელიშვილის, ა. ვინოკუროვის, ა. იგნატიევის, ა. მუხინის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ... მიზანდასახულმა, გააზრებულმა მუშაობამ მალე გამოიღო ნაყოფი — აქ აღიზარდნენ ისეთი ძლიერი სპორტსმენები, როგორიც არიან საქართველოს ქალთა ახალგაზრდული ნაკრების წევრები ო. მანთაშაშვილი, ი. რუდნევა, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი ს. დიაჩენკო.

მათ გარდა სპორტსკოლაში ბევრი პერსპექტიული სპორტსმენია: მ. სტრელნიკოვა, ს. ლეონტიევა, ს. ღვაბერიძე, გუნდის კაპიტანი ა. კაზაკოვა და სულ ნორჩი, მაგრამ უკვე ძლიერი სპორტსმენები ნინო შლებრიშვილი და გალინა დიმჩენკო. სწორედ ამ შემადგენლობით (რომელშიც გუდაუთელი მწვრთნელის ო. ლაკერბაის მოწაფე ნ. დაუთიაც თამაშობდა), სპორტსკოლის ნაკრებმა გუნდმა ა. იგნატიევის ხელმძღვანელობით ძლიერად ჩაატარა შეხვედრები კაუნასში, ქვეჯგუფში ყველა შეხვედრა „მშრალი“ ანგარიშით მოიგო და ფინალურ ტურნირში ერთადერთი მატჩის წაგების მიუხედავად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტსკოლების ნაკრებ გუნდებს შორის.

წარმატებებზე საუბრის შემდეგ არც თუ ისე იოლია იმ პრობლემებზე ლაპარაკი, რომლებიც მწვრთნელებისა და ნორჩი სპორტსმენების წინაშე დგას. ის ერთადერთი დარბაზი, რომელიც სპორტსკოლას გააჩნია, ძალზე პატარაა. სკოლის ხელმძღვანელობა დიდი ხანია სხვადასხვა ინსტანციაში ოფიცერთა სახლის კულტურისა და დასვენების პარკში ძველი სპორტდარბაზის ადგილზე საკუთარი სახსრებით ახლის აგების ნებართვას ითხოვს, მაგრამ ამ თხოვნას რატომღაც ყურად არ იღებენ. ასევე ვერ გადაწყდა საზაფხულო სპორტული ბანაკის აგება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა წვრთნის პროცესის შემდგომი სრულყოფისთვის. მოსაწესრიგებელია, აგრეთვე, სპორტული ფორმითა და ინვენტარით მომარაგების საკითხიც.

ვფიქრობთ, ამ საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტა ბევრად განაპირობებს სპორტსკოლის აღსაზრდელების ახალ-ახალ წარმატებებს.

ნ. კაკოიაშვილი.

• • •

სურათებზე: სპორტსკოლის უფროსი ასაკის გოგონათა გუნდი ვარჯიშის დროს; მწვრთნელი ა. იგნატიევი რჩევას აძლევს სპორტსმენებს.

გ. ახალაძის ფოტოები.

სამამულო სპორტის ისტორია

ზრდისა და გამარჯვების წლები

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 190, 195, 226, 229.

სამხედრო უწყებას ბევრი სპორტული ბაზა გადაეცა. თბილისის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნისქვეშა შენობები (ზამთრის საწყლოსნო აუზი, ორი სპორტული დარბაზი და სხვ.) სამხედრო ორგანიზაციებს დაუთმეს. ასეთივე მდგომარეობა იყო რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში.

ომიანობის წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობა. მაგალითად, მარტო თბილისში ომის წინ 255 ფიზკულტურული კოლექტივი იყო, რომლებშიც 14.361 ფიზკულტურელი მეცადინეობდა. 1942 წლისთვის კი 134 კოლექტივში მხოლოდ 8.145 ფიზკულტურელი იყო ჩაბმული.

კვალიფიციური მეომრებით ფრონტის შევსების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სამხედრო-სპორტულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო სისტემატურად განიხილავდა ფიზკულტურისა და სამხედრო თავდაცვითი ორგანიზაციების მუშაობის ცალკეულ საკითხებს, იღებდა სათანადო გადაწყვეტილებებს, პერიოდულად ამოწმებდა მიღებულ დადგენილებათა შესრულების მდგომარეობას და რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ეხმარებოდა ომის მოთხოვნათა შესაბამისად სამხედრო-სპორტული მუშაობის გარდაქმნაში. ამ მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე კომკავშირული ორგანიზაციები.

ფრონტის მოთხოვნათა შესაბამისმა დიდმა პასუხისმგებლობამ უზრუნველყო სპორტული კოლექტივებისა და მათში ჩაბმულ სპორტსმენთა რაოდენობის ზრდა. 1945 წლისთვის რესპუბლიკაში 2.342 ფიზკულტურული კოლექტივი, ხოლო სპორტის სხვადასხვა სექციაში 90 ათასი ფიზკულტურელი იყო ჩაბმული, მათ შორის 102 სპორტის ოსტატი, 29 დამსახურებული ოსტატი, აგრეთვე ბევრი მსოფლიო და საკავშირო რეკორდსმენი და ჩემპიონი.

ომის პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობოდა ნიშნოსნებისა და ხელჩართული ბრძოლის მეომართა აღზრდას. 1941 წლის 1 იანვრიდან 1946 წლის 1 იანვრამდე მშთ-ის 184.553 და იმშთ-ის 97.433 ნიშნოსანი მომზადდა.

ომის პერიოდში თბილისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა 70.000-ზე მეტი ნიშნოსანი მოამზადეს. აქვე აღიზარდა ხელჩართული ბრძოლის 21 ათასზე მეტი მეომარი და 1200-მდე საზოგადოებრივი ინსტრუქტორი. ამ მხრივ ფართო და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ, აგრეთვე, ფიზკულტურის ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები.

რესპუბლიკაში ეწყობა მასობრივ-სპორტული ღონისძიებები, შეჯიბრებები თხილამურებით სიარულში, მოტოსპორტში, ხელჩართულ ბრძოლაში, ცურვაში, მძლეოსნობაში და სხვ. მარტო 1945 წელს რესპუბლიკაში ჩატარდა 2.875 შეჯიბრება და საჩვენებელი გამოსვლა. რესპუბლიკის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო ასპარეზობებში: სათხილამურო სპორტში (დაიკავეს II ადგილი), მძლეოსნობაში (V ადგილი), ველოსპორტში (V ადგილი), ძალოსნობაში (გუნდური II ადგილი, პირადი I ადგილი — მ. ჟღენტი), კრივში (I ადგილი — ლ. ღუდუშაური, ორი II ადგილი და ორი — III), თავისუფალ ჭიდაობაში (სამი I ადგილი: ვ. ილურიძე, დ. ციმაკურიძე, ვ. მაჩკალიანი; ერთი II — ე. ქებუა და ორი V ადგილები) და სხვ. იმავე წელს ნ. დუმბაძემ დაამყარა მსოფლიო რეკორდი ბადროს ტყორცნაში (49.88 მ.), ხოლო გ. ათანელაშვილმა — საკავშირო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში (195 სმ).

თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციები მონაწილეობენ სხვადასხვა გასამხედროებულ შეჯიბრებებში. ჯერ კიდევ 1943 წელს მათ ამხანაგური მატჩები გამართეს შავი ზღვის ფლოტის, აგრეთვე, ბაქოს, ერევნის, ბათუმის, ქუთაისის სპორტსმენებთან. კოჯრის მაღალმთიან სათხილამურო სადგურზე თხილამურებით სიარული შეისწავლა 1.473 სამხედრო მოსამსახურემ და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ჯგუფების სპორტსმენებმა. იმავე წელს თბილისელებმა სამჯერ მოაწყვეს სამხედრო-სავალდებულო სწავლების ჯგუფების გასამხედროებული სპარტაკიადა. ცურვა შეისწავლა 1.500 კაცმა, 86.113 კაცი მონაწილეობდა კროსში, სპორტულ შეჯიბრებებში კი — 30.624. მსგავსი ღონისძიებები ჩატარდა შემდგომ წლებშიც. 1944 წელს გაიმართა 344 ფიზკულტურულ-სპორტული შეჯიბრება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 137.586, კროსში — 105,162 კაცმა. ცურვა შეისწავლა 5.900 მშრომელმა.

სპორტული ღონისძიებები გეგმიანად და სისტემატურად ეწყობოდა ქუთაისში. სულ გაიმართა 324 ღონისძიება (90.713 ფიზკულტურელი). ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლების ჯგუფების მომზადებაში.

ქუთაისელ მოსწავლეთა სპორტული სკოლის ნორჩ ტანმოვარჯიშეთა გუნდმა 1943 წლის შეჯიბრებაში საქართველოს პირველობაზე II ადგილი დაიკავა მოსწავლეთა გუნდებს შორის, მძლეოსანმა ო. ქორქიამ კი — ბირთვის აკვრაში I ადგილი. თავი ისახელეს ძმებმა ბიქტორ და პავლე ბასილაძეებმა, რომლებმაც სიმძიმეების აწევაში საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს. იმავე წელს ქუთაისში გამართულ საქართველოს პირველობაზე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ქუთაისის კალათბურთელთა გუნდი (გუნდის უფროსი — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი შ. მესხი) I ადგილზე გავიდა და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზაციები ომის პერიოდში ამზადებდნენ მძღოლებს, არემონტებდნენ მოტოციკლებსა და აკუმულატორებს. მაგალითად თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ავტო-მოტო კლუბმა 1941 წელს და 1942 წლის პირველ კვარტალში მოამზადა 353 მძღოლი (უმთავრესად 1923-24 წლებში დაბადებული წვევამდელები და წითელი არმიის მებრძოლები). კლუბის ბაზაზე აღიზარდა, აგრეთვე, მოტოციკლის 536 მძღოლი, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სამხედრო ნაწილების 119 მოტოციკლს, გარემონტდა და დაიტენა 620 აკუმულატორი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ფართო მუშაობა გასწიეს ქართველმა ალპინისტებმა.

ფრონტზე წავიდა ალპინისტთა 95 პროცენტი, მიუხედავად ამისა, საქართველოს ალპურმა კლუბმა ზურგში დარჩენილ მცირერიცხოვან მთამსვლელთა საშუალებით 1941 წელსვე განახორციელა მთიან პირობებში ომის წარმოებისთვის მოსახლეობის მოსამზადებელი დიდი ღონისძიებანი. წვევამდელები და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მებრძოლები ალპინიზმის 50-საათიან კურსს გადიოდნენ. ამ სწავლებაში ჩაბმული იყო 1000 კაცი. ასეთივე მუშაობა მიმდინარეობდა 1942 წელსაც. 1942-1943 წლებში მარტო კოჯრის სამთო-სათხილამურო ბაზაზე მომზადდა 2500 კაცი, ხოლო 1943 წელს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში 25-საათიანი პროგრამით სამთო-მსროლელთა სპეციალური ქვედანაყოფებისთვის აღიზარდეს 4500 კაცი, ალპინიზმის ინსტრუქტორები.

ქართველი სპორტსმენები მამაცურად იბრძოდნენ ფრონტზე, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სამხედრო ნაწილებში.

1942 წლის შემოდგომაზე, კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში, საქართველოში შეიქმნა სამთომსროლელთა სპეციალური რაზმები. მათ მოსამზადებლად, ინსტრუქტაჟისა და ხელმძღვანელობის გასაწევად თითქმის ყველა გამოჩენილი ალპინისტი მიიწვიეს. მათ შორის იყვნენ დ. ფურცელაძე, შ. ასათიანი, ს. გვალია, კ. მარი, ქ. ონიანი, ლ. ღუდუშაური, ლ. მარუაშვილი და სხვ. ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა სამხედრო დავალებათა წარმატებით შესრულებაში. მაგალითად, რაზმის უფროსი ინსპექტორი შ. ასათიანი რამდენიმე თვეს იბრძოდა მთებში, მან 28-ჯერ გადაატარა მებრძოლები ქარბუქში თოვლიან უღელტეხილზე; ლეიტენანტი ლ. მარუაშვილი წარმატებით ხელმძღვანელობდა კავკასიის უღელტეხილების სამხედრო-გეოგრაფიულ აღწერას; სპორტის ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე ფრონტის დავალებით არკვევდა ამინდის პროგნოზს, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა ავიაციის წარმატებით მოქმედებას.

ალპინისტები დ. წერეთელი, ვ. ხუციშვილი, ლ. სუჯაშვილი, დ. ხუციშვილი, ს. შადური და სხვები წარმატებით ასრულებდნენ სარდლობის დავალებებს, ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს და მის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებას.

გერმანელთა ალპური დივიზიების წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორები: დ. ჯაფარიძე, პ. მარჩენკო, ი. არუთინოვი, ვ. ბაბუნაშვილი, ფ. მჭედლიშვილი, გ. რამიშვილი, დ. ობოლაძე, ა. კვეზერელი, თ. ელიაშვილი, კ. ასტახიშვილი, ა. ღუდუშაური, ი. გოგიტიძე, ა. თვალიაშვილი, ცნობილი ალპინისტის ი. კაზალიკაშვილის შვილები სტეფანე, ალექსი და ისიდორე კაზალიკაშვილები, გიგუშა და გოგი ქირიკაშვილები, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, გ. ზურებიანი, მ. ჯაფარიძე და სხვები. გმირობისა და მამაცობის არაერთი ნიმუში აჩვენეს ალპინისტმა ოფიცრებმა დ. ფურცელაძემ, კ. მარმა, დ. წერეთელმა, რ. ჩხეიძემ, ა. ივანიშვილმა, გ. გავაშელმა, ლ. ჭელიძემ, ლ. მარუაშვილმა და სხვ.

1942 წელს გერმანელი ფაშისტები კავკასიას მოადგნენ და იალბუზზე თავიანთი საჭურველი აიტანეს. მაგრამ მალე მტრის ზურგში მოქცეულმა საბჭოთა მეომრებმა ჰიტლერელები შემუსრეს, დამპყრობთა საჭურველი მოსპეს და კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე კვლავ წითელი დროშა აფრიალდა. მის აღმართვაში მასაც მეომრებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ალპინისტებმა გიორგი სულაქველიძემ, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა კავშირის გმირებმა: ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტმა ვ. ლეჟავამ, სპორტსკოლის აღზრდილმა თ. ჯაფარიძემ და მრავალმა სხვამ.

საბჭოთა კავშირის გმირმა კარლო მებაღიშვილმა, რომელმაც 150-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა მოიერიშე თვითმფრინავით განახორციელა, გაანადგურა მტრის 11 ტანკი, 87 ავტომანქანა, 9 საზენიტო ბატარეა, 13 საცეცხლე წერტი, 2 თვითმავალი ქვემეხი, 35 საზიდარი, საბრძოლო საჭურველისა და საწვავის 4 საწყობი, ააფეთქა მატარებლის 6 შემადგენლობა, მოსპო მტრის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. იგი ომამდე საუკეთესო სპორტსმენი-მოკრივე და ძალოსანი იყო და მრავალი წინაღობის დაძლევის მნიშვნელოვან პირობად სწორედ სპორტში წვრთნას მიიჩნევდა. „თუ დავიღუპე, აუცილებლად მონახე ჩემი მწვრთნელი და დიდი მადლობა გადაუხადე ჩემი მომზადებისთვის“ — კ. მებაღიშვილი თავის ძმას მწვრთნელ ა. ჩილინგარიანზე სწერდა.

ოთარ დიდებულიძე ომამდე ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგი და რესპუბლიკის ჩემპიონი იყო ფარიკაობაში. მან ბრძოლით განვლო კავკასია, ყუბანი, გადალახა დონი, დნეპრი, მონაწილეობდა კიევისა და პოზნანის (პოლონეთი) განთავისუფლებაში, მან მტერს ბერლინამდე სდია. იგი რამდენიმე ორდენითა და მედლით, მათ შორის პოლონეთის „გრიუნვალდის ნიშნის“ ორდენით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა თავის საყვარელ სპორტს.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ვ. სამსონაძე ომამდე ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგე და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იყო მძლეოსნობაში. ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდა, სამჯერ დაიჭრა. სამსონაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორი ორდენითა და მედლებით.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული დაბრუნდნენ ომიდან და ახალგაზრდობის სპორტული აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, თავიანთ სპეციალობებს დაუბრუნდნენ სპორტსმენები ვ. გედევანიშვილი, ვ. მიქაძე, შ. რევიშვილი, ი. რუხაძე, ვ. ნიშნიანიძე, ს. ტიმოფეევი, ბ. სავჩენკო, ვ. ბუტნიკი, გ. დვალი და სხვ. მაგრამ ყველა როდი გადაურჩა ფრონტის ცეცხლს. საქართველოს მკვიდრი ორასი ათასი მეომარი მამაცთა სიკვდილით დაეცა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შორის ბევრი იყო სპორტსმენი. მათი სახელები სამარადისო დიდებით შევიდა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

შ. ნოზაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

(დასასრული იქნება)

ჩაქვისთავის მწვანეში

ხელვაჩაურის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თაოსნობით ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა და „კოლმეურნის“ რაისაბჭომ ქობულეთის რაიონში, ჩაქვისთავში ტურისტული ლაშქრობა-შეკრება გამართეს. ღონისძიებაში რაისაბჭოს აღმასკომის 30 თანამშრომელი მონაწილეობდა. 7-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე ადრე გაიარეს ვ. აბაშიძემ და მ. ჩხაიძემ.

ჩაქვისთავში ჩატარდა შეჯიბრებები კარვის გაშლაში, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში, სიმძიმეების აწევაში, ჭადრაკსა და შაშში. ჭადრაკში გ. დვალიშვილმა იმარჯვა, ტყვიის სროლაში — რ. ბაქრაძემ, სიმძიმეების აწევაში პირველი იყო ა. დიასამიძე. შაშში პირველობა მოიგო ლ. დეონიძემ.

ნ. დევაძე.

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები კარავის გაშლაში (ზევიდან), ჭადრაკსა და სროლაში. ცეცხლის ხაზზეა რ. ბაქრაძე.

ბაზებიც შესაფერი რომ ჰქონდეთ...

სამი წელია, რაც გაიხსნა ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი (დირექტორი ა. ცირეკიძე). ამ ხნის მანძილზე აქაურმა ფიზკულტურელებმა არაერთი წარმატება იზეიმეს საქალაქო თუ რესპუბლიკურ პირველობებში. ტექნიკუმში ათი სპორტული სექცია მუშაობს. ტრადიციად ქცეულა შიდასატექნიკუმო სპარტაკიადების ჩატარება. სასწავლებლის ფიზკულტურელებს გემოვნებით გაუფორმებიათ სპორტული სტენდები, ორ თვეში ერთხელ უშვებენ კედლის გაზეთს — „სპორტი ჯანმრთელობაა“... ტექნიკუმის შესასვლელში კედელზე გაკრული ფოტოსურათებიდან ვეცნობით აქაურ მოწინავე სპორტსმენებს: ავთანდილ გაბრიჩიძე, ზურაბ რობაქიძე, მერი ხუციბერიძე, გიორგი ყაზიაშვილი, ავთანდილ ბოჭორიშვილი, როლანდ ბრეგაძე, თენგიზ ბუაძე... ტექნიკუმის ფიზკულტურულ საბჭოს სასწავლო ჯგუფებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაუშლია. გამარჯვებულნი ყოველი სემესტრის ბოლოს გარდამავალი ვიმპელებითა და სიგელებით ჯილდოვდებიან.

დირექტორის მოადგილეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დარგში, გამოცდილ ფიზკულ-

კატეგორიის მსაჯს ელბერტ ბაქრაძეს არა ერთი და ორი კარგი სპორტსმენი აღუზრდია. პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურებაა ტექნიკუმელ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ყოველი მნიშვნელოვანი წარმატება.

ტყიბულელი ფიზკულტურელები გატაცებულნი არიან ტურიზმით. სპორტის ამ სახეობის სექციის ხელმძღვანელის, ინჟინერ ბადრი კობახიძის ხელმძღვანელობით ისინი ხშირად აწყობენ ლაშქრობებს სხვადასხვა ადგილებში.

სასწავლებლის სპორტული ცხოვრების ავ-კარგზე ტექნიკუმის ერთ-ერთ ოთახში გამოფენილი თასები და დიპლომები მოგვითხრობენ...

ახალგაზრდებს და მათს აღმზრდელებს ერთი რამ აწუხებთ: ძალზე პატარა სპორტდარბაზი აქვთ, ხოლო ღია სპორტული მოედნები საერთოდ არ გააჩნიათ. ამიტომაა, რომ ისინი ქალაქის სპორტულ ბაზებზე ვარჯიშობენ. მართალია, დაიწყო ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტული კომპლექსის მშენებლობა, მაგრამ იგი მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს...

კარგ კოლექტივს კი ბაზებიც შესაფერი უნდა ჰქონდეს.

გ. ბარჯაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი უბურთოდ

მ. ზარგარიანის ფოტოები.



ჩემპიონატები, გოლები, ციფრები

უნგრეთი

XI ტურმა რამდენიმე საკმაოდ მოულოდნელი შედეგი მოიტანა. ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ შინ დამარცხდა „ვიდეოტონთან“ (შეკეშფეჰერვარი) — 0:1. მიმდინარე სეზონში მტკ-ს (ბუდაპეშტი) კარგი შედეგები აქვს. ამჯერად მან საკუთარ მინდორზე დამაჯერებლად სძლია სომბათჰეის „ჰალადაშს“ — 4:1, ამასთან 3 ბურთი გაიტანა ახალგაზრდა მორგოშმა, რომელიც შარშან „ჰონვედის“ დუბლიორი იყო. ლიდერმა — „დოჟა-უიპეშტმა“ ანგარიშით 5:2 სძლია „ჩეპელს“.

11 ტურის შემდეგ 18 ქულით პირველ ადგილზეა „დოჟა-უიპეშტი“, 17-17 ქულა მოაგროვეს „ვაშაშმა“ და მტკ-მ.

ავსტრია

ერთი კვირის მანძილზე ჩემპიონა-

ით 2 ტური ითამაშეს. 14 ტურის შემდეგ ძალზე მტკიცეა ლიდერის — „აუსტრიას“ პოზიცია, რომელსაც 22 ქულა აქვს. მან ჯერ უახლოეს მდევარს „სვაროვსკი-ვაკერს“ (ინსბრუკი) სძლია — 1:0, ხოლო შემდეგ ფრედ (1:1) ითამაშა ლინცში „ვოიესტთან“.

ლიდერს 5-5 ქულით ჩამორჩებიან „სვაროვსკი-ვაკერი“ და გრაცის „შტურმი“.

შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკი“ ამ სეზონში ულიმღამოდ გამოდის, მაგრამ ტრადიციულ მეტოქესთან „გლაზგო რეინჯერსთან“ ფრედ ითამაშა — 1:1. „გლაზგომ“ 19 ქულით შეინარჩუნა პირველი ადგილი. II ადგილზე მყოფი „აბერდინი“ საკუთარ მინდორზე ფრეს (0:0) დასჯერდა „ერ იუნაიტედთან“ და ახლა 18 ქულა აქვს.

საბერძნეთი

ლიდერმა აეკ-მა IX ტურში სტუმრად ვერ სძლია (1:1) მე-17 ადგილზე მყოფ „პიერიკოსს“. „პანათინაიკოსმა“ ასევე სტუმრად მოუგო ბოლო ადგილზე მყოფ „კავალას“ — 3:1.

„პანათინაიკოსს“ 13 ქულა აქვს, პირეოსის „ოლიმპიაკოსსა“ და „კასტორიას“ — 11-11 ქულა.

დანია

დამთავრდა დანიის ბოლო ჩემპიონატი, სადაც ფეხბურთელებს სამოყვარულო სტატუსი ჰქონდათ. გაისიდან დანიაში პროფესიული ფეხბურთი დაწესდება, რომლის ძირითადი მიზანია მოთამაშეთა მოჭარბებულ ექსპორტიდან თავის დაზღვევა. გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ (ზაგრები) ცნობით, მარტო გფრ-ში ამჟამად 21 დანიელი ფეხბურთელი თამაშობს.

30 მატჩის შემდეგ 47 ქულით ჩემპიონობა ვადამდე გაცილებით ადრე მოიპოვა „ოდენზე ბკ“-მ. მან 8 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ „ბ 1903 კოპენჰაგენს“. 34-34 ქულა ერთბაშად ოთხმა გუნდმა მოაგროვა: „ესბიერგ ბკ“-მ, „ვეილე ბკ“-მ, „ბ. 1901 ნაკიობინგმა“ და „კასტრუპ ბკ“-მ. ამ ჯგუფს შეეძლო შეერთებოდა თბილისელთა ყოფილი მეტოქე „ბკ კოპენჰაგენიც“, მაგრამ იგი ბოლო ტურში დამარცხდა „რანდერს ფრაიასთან“ (2:4) და საბოლოოდ 32 ქულით VII ად-

პრიზი „ჰუმანურობისთვის“

ესპანეთის სპორტულმა ჟურნალისტებმა „ბარსელონას“ მიანიჭეს ირონიული პრიზი „ჰუმანურობისათვის“. საქმე ის არის, რომ 1976-77 წლების სეზონში ამ გუნდმა 8 პენალტი... ვერ გაიტანა. 5 11-მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა „ჰოლანდიურმა დუეტმა“ — 3 ნეესკენსმა, ხოლო 2 კრუიფმა.

პელეს მუზეუმი

„შავი მარგალიტის“ მშობლიურ ქალაქში ტრეს კორაკოესში (შტატი მინას ჟერაისი) გადაწყვიტეს გაიხსნას პელეს სახელობის მუზეუმი, სადაც მის მიერ მოპოვებული ყველა სახის ჯილდო გამოიფინება.

რვა-რვა მატჩით

მიუნხენის „ბაიერნის“ ორი ძირითადი ფეხბურთელი — ნახევარმცველები კაპელმანი და ვაისი არასპორტული საქციელისთვის დისკვალიფიცირებული არიან 8-8 მატჩით. ამასთან ეს აკრძალვა გრძელდება არა მარტო ბუნდესლიგის მატჩებზე, არამედ უეფა-ს თასზეც, სადაც „ბაიერნი“ მონაწილეობს.

ტრაპატონი — წლის საუკეთესო მწვრთნელი

ჯ. ტრაპატონი, იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი, ამჟამად კი ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელი, აღიარებულია გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად იტალიაში.

მწვრთნელი ჯეკ ჩარლტონი

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონის — ინგლისის ნაკრების ყოფილი სტოპერი ჯეკ ჩარლტონი კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს, მაგრამ არა როგორც ფეხბურთელი, არამედ როგორც მწვრთნელი. სპეციალური კურსების გავლის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა მესამე ლი-

კაპიტნის ლენტით

ბელგრადი. 16 წლისა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობდა, 18 წლის ასაკში — მსოფლიო ჩემპიონატში. ახლა იგი 31 წლისაა, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადაში გამოსვლაზე ოცნებობს. ცოტა თუ მოიძებნება თანამედროვე ხელბურთელი, რომელიც მეტოქეობას გაუწევს იუგოსლაველ სპორტსმენს, პროფესიით იურისტს, ზ. ხორვატს.

იუგოსლავიაში მის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ ვერც ქვეყნის ნაკრები და ვერც ჩემპიონი გუნდი „პარტიზანი" (ბელგრადი). ტყუილად კი არ დასდეს ხორვატს დიდი პატივი — მას მონრეალის ოლიმპიადაზე იუგოსლავიის დელეგაციის დროშა ეჭირა.

სპორტსმენი თავის თავზე და საყვარელ თამაშზე ესაუბრა ზაგრების გაზეთის „სპორტსკე ნოვოსტის" კორესპონდენტს:

— წლევანდელი სეზონის დასაწყისში ჩემს ანგარიშზე იყო 201 მატჩი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში. და რამდენადაც მწვრთნელები წინანდებურად მიწვევენ სათამაშოდ, ვიმედოვნებ მოვხსნა რაინერ განშოვის „მსოფლიო რეკორდი" (გდრ-ის ხელბურთელთა ნაკრებში — 206 მატჩი).

— რა აზრისა ხართ დღევანდელ და გუშინდელ ხელბურთზე?

— ეჭვი მეპარება, რომ მსოფლიოში ჩვენი თამაშის სანახაობრივი მხარე გაზრდილიყოს. ეს აიხსნება ფიზიკურ დატვირთვაზე მომეტებული მომთხოვნელობით და ძალისმიერი თამაშით.

— რა ცვლილებები მოხდა იუგოსლავიის ხელბურთში?

— ჩვენი ნაკრების უწინდელმა მწვრთნელმა ვლადო შტენცელმა ბევრი გააკეთა იუგოსლაველი ხელბურთელების ოსტატობის ამაღლებისთვის. ისიც მართალია, რომ მან მკაცრ ტაქტიკურ ჩარჩოში მოათავსა ჩვენი იმპროვიზირებული ხელბურთი.

— როგორია თქვენი როლი, როგორც ნაკრების კაპიტნისა?

მე ვიყავი, ერთის მხრივ, მწვრთნელ შტენცელისა და მეორეს მხრივ, მოედანზე მყოფ გუნდს შორის მეკავშირე. ორივე მხარე ყოველთვის ანგარიშს უწევდა ჩემს აზრს, დარწმუნებული ვარ, კაპიტნის ფუნქცია ფორმალური არ არის.

— ხომ ვერ გვეტყვით რა არის თქვენი მიზანი სპორტში?

— მივისწრაფვი სრულყოფისკენ, არასდროს ვკმაყოფილდები მიღწეულით. (საკდესი).

ხელბურთი

კოპენჰაგენი. სკანდინავიის ქვეყნების (შვეცია, ნორვეგია და დანია) ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა გადაწყვიტეს, რომ დანიის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ერთად მოემზადონ. ერთ დროს სკანდინაველი ხელბურთელები საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოდიოდნენ, მაგრამ ბოლო წლებში მონაწილეობა არ მიუღიათ დიდ ტურნირებში. და აი, მათ სურთ აღიდგინონ დაკარგული პრესტიჟი. ამ მიზნით გადაწყვიტეს უფრო ხშირად ჩაატარონ ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩები, ერთობლივი წვრთნა, მეცნიერთა და მწვრთნელთა თათბირები.

„თუ გვსურს წარმატების მიღწევა, — პრესის წარმომადგენლებს განუცხადა ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელმა როლფ ესტერბრუმ, — უნდა დავადგეთ ამ გზას — მოსკოვის ოლიმპიადისთვის ბრწყინვალედ მომზადების გზას". (საკდესი).

მ. გარდავა

მოულოდნელად გარდაიცვალა ფიზკულტურისა და სპორტის ახალგაზრდა სპეციალისტი მურმან მიხეილის ძე გარდავა. იგი საყვარელ საქმიანობას 37 წლისა გამოეთხოვა, მაშინ, როცა შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე იდგა.

მ. გარდავას ბევრჯერ წარმატებით დაუცავს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს სპორტული სახელი სპრინტში. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ „კოლმეურნის" ზუგდიდის რაიონული საბჭოს მძლეოსანთა უფროს მწვრთნელად მუშაობდა, მერე ამ რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, 1967 წლიდან კი რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" ბავშვთა სპორტკლუბის დირექტორად გადაიყვანეს.

1973 წლიდან მ. გარდავა „დინამოს" ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.

ნიჭიერი ახალგაზრდა ძალ-ღონეს არ ზოგავდა მშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვისთვის. იგი ბევრი წამოწყების თაოსანი იყო. ზუგდიდის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ მისი სახით კარგი სპეციალისტი და მეგობარი დაკარგა.

ამხანაგების ჯგუფი.

მედალი, როგორც ორიენტირი

პარიზი. იგი ამჟამად საუკეთესო მძლეოსანია საფრანგეთში. რამდენიმე წელია 26 წლის სიგრძეზე მხტომელი ჟაკ რუსო კარგ სპორტულ ფორმას ინარჩუნებს და წარმატების მიღწევას ოლიმპიადა-80-შიც იმედოვნებს.

„X ადგილი ოლიმპიურ მიუნხენში, IV — მონრეალში. დარწმუნებული ვარ მოსკოვში ერთ-ერთ მედალს მოვიპოვებ", — ამბობს ფრანგი სპორტსმენი. მან არაერთგზის გააუმჯობესა საფრანგეთის რეკორდი (826 სმ).

„ამ შედეგებს სისწრაფის წყალობით ვაღწევ", — ფიქრობს სპორტსმენი, რომელმაც სპრინტერული რბენით დაიწყო და 100 მეტრზე რბენაში პირადი რეკორდიც აქვს — 10,3. რუსომ 18 წლისამ დაიწყო სიგრძეზე ხტომაში ვარჯიში.

„თუმცა ჩემი ხტომის ტექნიკა ჯერ კიდევ უნაკლო როდია, — ამბობს სპორტსმენი, — მაგრამ გარბენის სისწრაფე მეხმარება".

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ რუსო მხტომელადაა დაბადებული. ამასთან მას შეუძლია სალად გააანალიზოს თავისი შეცდომები, მონრეალის ოლიმპიადაში რუსო დაუმეგობრდა ბრაზილიელ დე ოლივეირას, რომლის გარბენი 17 ნაბიჯია, რუსოსი კი — 19. მან მოსინჯა „ბრაზილიური ვარიანტი" და წარმატებითაც.

რა აზრისა ხართ ბობ ბიმონის რეკორდზე? — ჰკითხეს რუსოს ჟურნალისტებმა.

— ვფიქრობ მსოფლიო რეკორდის გარდა სხვა მიზნებიც არის. მაგალითად, 1980 წლის ოლიმპიური მედალი. ამასთან ბიმონი იყო „ანტიმხტომელი": ძელაკიდან აკვრას მარცხენა ფეხით აკეთებდა და არ იცოდა საით გაფრინდებოდა. და მართლაც შორს „გაფრინდა". მისი მსოფლიო რეკორდის დამხობა ძალიან ძნელია. (საკდესი).

მძლეოსნობა

ბაილშმიდტი რეკორდს „უმიზნებს"

ბერლინი. მძლეოსანმა როლფ ბაილშმიდტმა გაზეთ „ტრიბუნეს" (გდრ) კორესპონდენტს განუცხადა, რომ დარბაზებში ასპარეზობის დამდეგ სეზონში ევროპის რეკორდს (228 სმ) უმიზნებს. „თუ შევძლებ დასახული მიზნის მიღწევას, ეს კარგი „პლაცდარმი" იქნება 1978 წლის საზაფხულო სეზონის წინ, რომლის კულმინაციად პრაღის ევროპის ჩემპიონატი მიმაჩნია", — აღნიშნა გდრ-ის ცნობილმა სპორტსმენმა. იგი არ მალავს თავის სერიოზულ განზრახვას — მოიპოვოს „პირველობის ერთ-ერთი მედალი".

გასულ სეზონში როლფი 28-ჯერ გამოვიდა სარბიელზე და აქედან მხოლოდ ორჯერ დამარცხდა — ოლიმპიურ ჩემპიონ იაცეკ ვშოლასთან (პოლონეთი) და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენ ამერიკელ დუაიტ სტოუნზთან. როლფმა გდრ-ის რეკორდი 231 სმ-მდე გაზარდა. თავის უმნიშვნელოვანეს მიღწევად იგი ჰელსინკში ევროპის და დიუსელდორფში მსოფლიო თასებზე ასპარეზობებს თვლის. მისი აზრით, მომავალ სეზონში ვ. იაშჩენკოს, სტოუნზსა და ვშოლასთან ერთად ისიც შეძლებს მსოფლიო რეკორდის (233 სმ) გაუმჯობესებას. მხტომელის აზრით, ახლა უწინდელი „მაგიური" სიმაღლე (230 სმ) ზღვარი არ არის. სპორტსმენები დარწმუნდნენ, რომ აღარ არსებობს ამ სიმაღლეზე „ფსიქოლოგიური ბარიერი". (საკდესი).

„შაბათის სპორტლოტოს" შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) 47-ე ტირაჟისა, რომელიც 19 ნოემბერს გაიმართა.

პირველი ტირაჟი: ხუთი ამოცნობილი ნომრისთვის მოგება შეადგენს 5000 მანეთს (8 ბარათი), ოთხისთვის — 177 მანეთს (959 ბარათი), სამი ნომრის ამოცნობისთვის მოგება — 6 მანეთია (34393).

მეორე ტირაჟი: აქაც ხუთი ნომერი 8 ბარათის მფლობელებმა ამოიცნეს და ისინიც თითოეული 5000 მანეთს მიიღებენ. ოთხი ნომრის ამოცნობისთვის (1003 ბარათი) მოგება 176 მანეთია, ხოლო სამი ნომრის ამოცნობისთვის — 6 მანეთი (33223).

მოგებათა გაცემა იწარმოებს 4 დეკემბრიდან.

ფრენბურთი

ტოკიო, 22 ნოემბერი. მსოფლიო თასის გათამაშების ნახევარფინალურ ტურნირში წარმატებით აიღო სტარტი საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა, რომელმაც დაამარცხა ბრაზილიის ნაკრები — 3:0 (15:11, 16:9, 15:10). მეორე ნახევარფინალურ ქვეჯგუფში კუბის ნაკრებმა მოუგო სამხრეთ კორეის ფრენბურთელებს — 3:0 (15:7, 15:12, 15:13).

ოთხი უძლიერესი ნაკრები ფინალურ ტურნირში წრიული სისტემით გაითამაშებს საპატიო ნადავლს. (საკდესი).



ნიუ იორკში ერნი შეივერსთან თხუთმეტრაუნდიან დაძაბულ ორთაბრძოლაში თავისი საპატიო ტიტული დაიცვა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა მუჰამედ ალიმ (მარჯვნივ).

საკდესის ფოტო.

ციგურები

ალო, ჰეიდენ!

უეჭველია, საციგურაო სპორტის მოყვარულებს აინტერესებთ როგორ ემზადება 1978 წლის სეზონისთვის 1977 წლის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, სპრინტერთა და იუნიორთა მსოფლიო პირველობებში გამარჯვებული ამერიკელი ერიკ ჰეიდენი. ძალიან გაძნელდა მისი მოძებნა, მაგრამ ნიუ იორკში საკდესის კორესპონდენტსა და 19 წლის ჰეიდენს შორის „სატელეფონო დიალოგი" მაინც შედგა...

კორესპონდენტი: „თქვენს კვალს ძლივს მივაგენით ქალაქ მედისონში (ვისკონსინის შტატი). გასაკვირია, რომ თქვენი სახელი არ იცოდნენ მოყვარულთა ათლეტურ კავშირში, თქვენი მისამართი არ იცოდნენ ამერიკის ოლიმპიურ კომიტეტში. მე ეს ძალიან უცნაურად მომეჩვენა, იმდენად, რამდენადაც საბჭოთა კავშირში სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სახელი.

ჰეიდენი: სამწუხაროდ, ეს ასეა. აშშ-ში საციგურაო სპორტი ისე არ არის პოპულარული, როგორც თქვენს ქვეყანაში, ან ნორვეგიასა და ჰოლანდიაში. აქ თქვენ დაგისახელებენ ჰოკეის, ბეისბოლის, ან ამერიკის ფეხბურთის ვარსკვლავებს, ხოლო მოციგურავეებს, თუნდაც მსოფლიო ჩემპიონებს, ცოტა თუ ვინმე იცნობს. ჩვენ აქ გერებივით ვართ.

კორესპონდენტი: გვიამბეთ როგორ ემზადებით ახალი სეზონისთვის, წვრთნის როგორი მეთოდი აირჩიეთ.

ჰეიდენი: ჩემპიონის ტიტული ბევრს მავალებს, ამასთან წლეულს პასუხსაგები შეჯიბრებები მელის. ამიტომ წვრთნის დაძაბული რეჟიმი ვამჯობინე. ჯერჯერობით ყინულის არარსებობის გამო მხოლოდ ათლეტურად ვემზადები, ვამუშავებ ტექნიკას, დიდ ყურადღებას ვუთმობ გამძლეობაზე ვარჯიშს. ყოველდღიურად 3-4, 5 საათს ვვარჯიშობ.

კორესპონდენტი: მომავალ სეზონში რომელ დიდ შეჯიბრებაში აპირებთ ასპარეზობას?

ჰეიდენი: ვიმედოვნებ გამოვიდე მრავალჭიდელ მამაკაცთა და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატებში. ამას გარდა, განზრახული მაქვს კვლავ ვცადო ძალა მსოფლიო პირველობაზე სპრინტერულ მრავალჭიდში. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს ყველა ტურნირში შევინარჩუნო უძლიერესის ტიტული. თუ შესაძლებლობა მექნება, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებშიც ვიასპარეზებ.

კორესპონდენტი: ვინ მიგაჩნიათ ძირითად მეტოქეებად?

ჰეიდენი: როგორც უწინ, ამ სეზონშიც ჩემი მთავარი მეტოქეები ნორვეგიელი და საბჭოთა მოციგურავეები იქნებიან. რამდენადაც ცნობილია, ყველა ისინი გაძლიერებულად ემზადებიან მომავალი სეზონისთვის. საბჭოთა სპორტსმენთაგან განსაკუთრებით გამოვყოფ სერგეი მარჩუკს. ჩემის აზრით, გრძელ დისტანციაზე მოასპარეზეთაგან ის ერთ-ერთი საუკეთესოა. 10000-მეტრიან დისტანციაზე ახალი „ვარსკვლავი" იქნება მეორე მომხიბლავი საბჭოთა სპორტსმენი ვ. ატლასკინი. მე არ ვახსენე ჰოლანდიელები, იმდენად, რამდენადაც არ ვიცი, შეძლებენ თუ არა ისინი კარგად გამოსვლას ახალ სეზონში. საქმე იმაშია, რომ ჰოლანდიელ მოციგურავეებს მწვრთნელი გამოეცვალათ, ამას კი, როგორც წესი, მოჰყვება ცვლილება წვრთნის მეთოდებში და, რასაკვირველია, შედეგებშიც. დაბოლოს, ძალიან მომწონს საბჭოთა მოციგურავეები და ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს მათთან შეჯიბრება.

ვ. რეშეტილოვი.
(საკდესის კორ.).

ნიუ იორკი.

კრივი

მუჰამედ ალის გადაწყვეტილება

პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონაში მუჰამედ ალიმ გადაწყვეტა რვა თვის განმავლობაში არ გამოვიდეს რინგზე. მიზეზი მან არ დაასახელა, მაგრამ ის კი დაუმატა, რომ მიუხედავად 35 წლისა, ჯერ არ აპირებს თავი დაანებოს რინგს.

კვლავ მსხვერპლი

2 მაყურებელი დაიღუპა იაპონიაში ავტომობილების რბოლის დროს, მას შემდეგ როცა კანადელი ვილენერვის ავტომანქანა მაყურებლებში შევარდა. მართალია ეს რბოლა ინგლისელმა ჯეიმს ჰანტმა მოიგო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის სახელი უკვე ცნობილი იყო — ავსტრიელი ნიკი ლაუდა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.